# საქართველო

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:** თბილისი, რუსთაველის პრ. სპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73. სამართი დეპეშებისთვის: თბილისი ,,საქართველო''. ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:** განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—8 მ. სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:** გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში— 300 მან. ცალკე №—10 მ.

ყოველდღიური გაზეთი. ოთხშაბათი, ღვინობისთვის 13. 1920 წ. № 120 ფასი 10 მანეთი


## სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი

მოთავსებულია კვლავ ძველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.

მდივნის ნახვა შეიძლება დილის 8—12 და ნახ., საღამოს 7—9 საათამდე.

## განცხადება.

1-ლ ოქტომბრიდან დაიწყო მოქმედება თბილისში სამონოპოლიო მატყლის საწყობმა, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმათ.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიათ **მომხმარებელ კოოპერატივებს** და სადაც ამნაირები არ არიან—იქ **თემებს** და სხვა **საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

## მომარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

**შენიშვნა:** რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ ,,ცეკავშირისაგან'', რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

### მატყლის ყიდვა-გაყიდვა კერძო პირთაგან აკრძალულია.

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

**ა) საშუალო ღირსების, გაურეცხავი მატყლი 4,000 მ.**

**ბ) სუფთა—ახალგორის და სხვა რაიონების 4,500 მ.**

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები **ვალდებულნი არიან** ადგილობრივ **გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

**შენიშვნა:** სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

**მომარაგების სამინისტრო.**

63. 5—5.

## მეცხვარეთა საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობას ,,მწყემსს'', რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა ,,მწყემსის'' საშუალებით, იმ ორი ათასი (2.000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობიდან მატყლის ადგილობრივად საფასურად, მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე, ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდი ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით;

1. მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა, ე. ი. 10 პროც.
2. მეცხვარეს ამხანაგობა ,,მწყემსის'' საშუალებით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. 45 პროც.
3. სახელმწიფოს—მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ—გარეთის ბაზარზე.—

**მომარაგების სამინისტრო.**

## სახელმწიფო ოპერა

დღიდან იწყება ბილეთების გაყიდვა (პარასკევს **15** ოქტომბრისათვის და ორშაბათს **18** ოქტომ.) საბალეტო საღამოებისთვის, რომელსაც მოსკოვის **სახელმწიფო თეატრის** პრემიერი **მიხეილ მორდკინი** ხელმძღვანელობს

კასა ღიაა *11* ს. ნაშუადღევის **3** ს. და საღ. **6** ს. **9** საათამდე.

სახელმწიფო თეატრი

### ოპერა

13 ოქტომბერს

**ევგენი ონეგინი**

მონაწ. სპრიშევსკაია, ერმოლინსკაია, პანინა ოვსიანიკოვა, სარაჯიშვილი, ბალაბანი, ისეცკი, ეზროვი, კურბატოვი, ქურხული.

14 ოქტომბერს

**ჰოფმანის ზღაპრები**

15 ოქტომბერს

**ბალეტის საღამო**

**მ. მორდკინისა**

16 ოქტომბერს

ოპერა მუშებისთვის

**აბესალომ და ეთერი**

წარმოდგენის დროს შესვლა საყურებელ დარბაზში აკრძალულია.

დასაწყისი 8 საათზე.

ოპერის დირექტორი: **ს. ი. ევლახიშვილი**

ევროპიდან ახლად დაბრუნებული

## ბ-ნი ტიტე მარგველაშვილი

წაიკითხავს ლექციას.

,,სოციალიზმი და ევროპის ეხლანდელი ეკონომიური მდგომარეობა''

თეზისები:
1) სიმდიდრეთა განაწილების პროცესი,
2) წარმოება და მუშები,
3) წარმოების დაცემა,
4) ევროპის დავალიანება,
5) მუშათა კავშირები,
6) სოციალისტური პოლიტიკა,
7) სოციალიზმის მარცხი,
8) საქართველო და სოციალიზმი,
9) საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა,
10) ევროპა და საქართველო (ეკონომიური პარალელი).

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. სამტრედიაში | სამშაბათს | 10 ოქტომბერს. | |
| 2. სენაკში | ხუთშაბათს | 14 ,, | 4. ლანჩხუთში კვირას 17 ,, |
| 3. ფოთში | პარასკევს 8. | 15 ,, | 5. ბათომში ხუთშაბათს 21 ,, |

სტუდ. და მოსწავ. კომიტეტი.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის

## საბუღალტერო კურსებზე

სწავლა (ქართულ ენაზე) დაიწყება 20 ღვინობისთვეს, საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე (კვირა დღითაც) 12-ს საათამდე პალატის სასკოლო განყოფილებისაგან (ეროვნული საბჭოს ქუჩა, № 11; ყოფილი ფრეილინის ქუჩა).

3—3170—1

## სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პროსპექტი, № 21; ტელ. 4—07)

სეზონი 1920—1921 წლისა

პარასკევს, 15 ოქტომბერს

### გუშინდელნი

პიესა 3 მოქმედ. შალვა დადიანისა.

შემსრულებელნი: ვასილ აბაშიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ვასილ არაბიძე, სუზანა ბეჟანიშვილი, მიხეილ გელოვანი, აკაკი ვასაძე, იუზა ზარდალიშვილი, მიხეილ ლორთქიფანიძე, ანდრია მურუსიძე, მიხეილ სარაული, პავლე ფრანგიშვილი, ან. ქიქოძე, ოლიმპიადა ღოღობერიძე, ელენე ციმაკურიძე, ნინო ჩხეიძე, მიხეილ ჭიაურელი.

რეჟისორი **მიხეილ ქორელი.**

დასაწყისი საღამოს **8** საათზე.

ბილეთები იყიდება დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდე.

მოქმედების დროს დარბაზში შესვლა აკრძალულია.

**ანონსი:** შაბათს, ოქტომბრის 16-ს—,,გუშინდელნი''. კვირას ოქტომბრის 17-ს ,,ედიპე მეფე''.

73. 1—1.

## მეორე ქართული კლუბი

გადავიდა

## საზამთრო ბინაზე

10 ოქტომბერს

## ასე იყო... ასე იქნება!

საქართველოს სახელმწიფოს წესწყობილების რომელ მხარესაც უნდა შეეხო, ყველგან წააწყდები ისეთ სურათებს, რომელნიც ჰმოწმობენ მმართველი პარტიის უთავბოლობას. იყო დრო, როდესაც ამის შესახებ ვწერდით მხოლოდ ისინი, ვინც არავითარ შემთხვევაში არა ვართ მონაწილენი რესპუბლიკაში შემოღებულ ექსპერიმენტებისა და, მაშასადამე, ყოველივე პასუხისგების გარეშეც ვდგევართ. მაშინ მმართველი პარტია ჩვენს ბრალდებებს მუდამ ერთსა და იმავე პასუხს აძლევდა: თქვენა ხარ მოღალატენი, მშრომელი ხმლხის, დემოკრატიის მტრები და ამიტომ შეგნებულად უარსჰყოფთ ყველა იმ წარმატებას, რომელიც საქართველოს სოციალდემოკრატებმა არგუნეს...

ეხლა დადგა სხვა დრო: ,,მოღალატეთა'' რიცხვი ერთობ მრავლდება, ოპოზიციას ერთვიან ისინიც, ვინც პრაქტიკულად მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფოს მართვაგამგეობაში და დღესაც ატარებენ შეუვალ იარლიკს ისიც არა უბრალო სოციალისტურს, არამედ ,,ნამდვილ'' ორტოდოქსალურ სოციალ-დემოკრატიისას... მრავლდება უკმაყოფილოთა რიცხვი, იზრდება კრიტიკული შეგნება საზოგადოებისა და ამის წარმომშობი და განმავითარებელი-კი არის სოციალდემოკრატების მეთოდი სახელმწიფოს მართველობისა.

სოციალდემოკრატებს და განსაკუთრებით მათ კალმოსნებს ,,ერთობიდან'' ჰგონიათ, რომ თავის მიერ აწეწილ საქმეს უშველიან და რესპუბლიკის პრესტიჟსაც აღადგენენ, თუ მოწინააღმდეგეთ და მხილებელთ მაგარი სიტყვებით გაუმასპინძლდებიან. შენ სპეკულიანტების დამცველი ხარ, შენ მოიანარქისტებ, შენ საზოგადოთ მტერი ხან ჩვენი,.. და ასე ამკობენ მენშევიკები ყველას, ვისაც გამბედაობა შეჰრჩენია და მათ მიერ ჩადენილ სისულელეს მოწიწებით გუნდრუკს არ უკმევს!

მენშევიკებს არაფერი ისეთი სისტემა არ შეუმუშავებიათ, როგორც ცარიელი სიტყვის ბრახუნი! ამაში ისინი განსაკუთრებულ ნიჭსა და სპეციალსტობას იჩენენ... კვეხნა დაჩემდა ამ ადამიანებს: თავის ღვაწლს იხსენიებენ მენშევიკები მაშინაც კი, როდესაც რაიმე მოვლენა ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო მოგვეცა მათი სურვილებისა და ცდის წინააღმდეგ...

ბოლო დროს საზოგადოების ყურადღებას იპყრობს ბათომის ოლქის შექმნილი მდგომარეობა. ქრონოლოგიურად ეს უკანასკნელი ეტაპია სოციალ-დემოკრატების სახელმწიფოებრივ შემოქმედებისა! ამ ოლქმა უფრო რელიეფურად გამოამჟღავნა მენშევიკების უილაჯობა და უვიცობა სახელმწიფოს მართვა გამგეობის საქმეში! ამავე ოლქმა მრავალი მაგალითი მოგვცა იმისაც, თუ როგორ დაშორებულნი არიან ხალხოსნურ იდეასთან ის ადამიანები, რომელთა ბაგეს სიტყვა დემოკრატია არ სცილდება.

ხუშინდელ ნომერში ჩვენ გადმოვბეჭდეთ ნაწყვეტები სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ ,,ახალი სხივი''-ის იმ წერილიდან რომელიც ეხებოდა ბათომის ოლქში დამყარებულ წესებს. დარწმუნებული ვართ, რომ სამამამადიანო საქართველოს სინამდვილე გაცილებით აღემატება გაზეთში მოთხრობილ მოკლე ამბავს იქაური ვითარება საგონებელში აგდებს ქვეყნის ბედს, აღონებს და აღელვებს ხალხის წინამძღოლთ, ამ საბედისწერო ჟამს მეტისმეტად ჰვნებს საქართველოს გაერთიანებას. მის მცხოვრებთა მჭიდრო შეკავშირებას. სოციალ—დემოკრატიული გაზეთი ბათომის ოლქში გამეფებულ უწესრიგეობის მიზეზს შორს არ დაეძებს, როგორც ეს სჩვევია მის განაყარ ,,ერთობა''-ს. დამოუკიდებელ სოციალ დემოკრატების ორგანო პირდაპირ ადებს ხელს დამნაშავეთ და მათი ნამოქმედარის აღნუსხვით ,,მთავრობის ყურადღება'' გამოითხოვს.

,,ახალი სხივის'' შემოწმებით ახლად შემოერთებულ კუთხეს მიჰსევიან სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტები და საეჭვო ელემენტები, ხოლო მათი ნამოქმედარი ,,ლეგალური'' ხასიათისაა, რადგანაც იქ ყველაფერი ,,სამსახურის სახელით'' კეთდება. დიახაც რომ ,,კეთდება''! სამამამადიანო საქართველოში ჩვენი ხელით სხვისი საქმე კეთდება! ჩვენ ხელს ვუწყობთ მაჰმადიან ქართვე-

# დღეს:

ლიონის ცნობით, პოლონეთსა და რუსეთს შორის შერიგება არ მოხდა.

ბოლშევიკური ცნობებით ინგლისი და იაპონია ამერიკის წინააღმდეგ სამხედრო კავშირს ჰკრავენ.

მიუხედავად დროებითი ზავისა პოლონეთმა ლიტვის საზღვარი გადალახა.

ვარშავში სავინკოვი რუს მოხალისეებს აგროვებს მოსკოვში სალაშქროდ.

ტოსკანაში დიდი მიწის ძვრა მოხდა.

## წ ე რ ი ლ ე ბ ი:

მეთაური: ასე იყო... ასე იქნება.

,,ერთობა'' და სახელმწიფო კონტროლი.

პრესა: ,,ნორ აშხატავორი''.

ნ. აზიანი: ჩვენი ბახუსი.

ფელეტონი: ა. ასათიანი: ს. დემოკრატიულ ორგანიზაციათა თათბირისათვის.

ჩვენი ზღვა: მეზღვაური.


კინემო.

მინიონი

10, 11, 12 და 13 ოქტომბერს

თავის სიუჟეტით ერთად ერთს სურათს რუსულ შემოქმედებისა:

რის თვით შენ გიყვარს, მხევლად გიმზერთ შენ, ხოლო დ მ ღ ო ფ ლ ო ბ როს შენ უყვარხართ

დრამა ხუთ მოქმედებათ, რომელიც მკაფიოდ აჩვენებს

თანამედროვე ოჯახის დარღვევას

დადგმა ეკუთვნის სახელმწიფო თეატრის მხატვარს ვ. ა. სიმოვს.

უმთავრეს როლებში გამოდიან:

| | |
|---|---|
| სტრონსკი სასამართლოს გამ. | ს. ი. სვობოდა. |
| ვერა ლვოვის ას. მისი მეუღლე | ოლღა ორგი. |
| იასტრებოვსკი მხატვარი | გ. შუპინსკი. |
| ქსენია პოგორეცკაია | ჩაგინისა. |

სეანსის დასაწყისი 1 აქ. 5ნახ. საათ. 2. 7 ნახ. ს. და 3.—9 ს., ხოლო მე 5 10 ნახ. საათ.

ფასი ჩვეულებრივია.

დღეს კვირას, ნაშუადღევის 1 ს. ლიტერატორ-მხატვართა მსჯავრის გამოტანაა.


ლებში თურქოფილობის გავრცელებას, ჩვენ საშუალებას ვაძლევთ ქემალ ფაშის აგენტებს საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებისას! დღევანდელ მეტად სახიფათო მომენტში განაპირა დაუდგრომელ კუთხეში ჩვენი ხელით ვლესავთ მახვილს, რომელიც ჯერ გამოუცნობია ვის გადაჰკრავს!!! ბათომის ოლქში ჩვენ შეგვიქმნია ისეთი წესები, რომელსაც იშვიათად მიჰმართავენ ბრძოლით შესული ოკკუპანტები მტრულად განწყობილ ქვეყანაში...

თუ სადმე იყვნენ გამოსაჩენი ჭკვიანი, დარბაისელი, შორს მჭვრეტი, ზრდილობიანი და ხალხის ფსიხიკის გამომცნობი ადამიანები—ეს სწორედ ბათომის ოლქისთვის იყო საჭირო. მენშევიკური სტილის ბრძანებით და ყარახოღული ,,სოციალისტური'' მილიციის კონდახების ამუშავებით შორს ვერ წავალთ.

ბათომის ოლქში მეორდება აფხაზეთის ეპოპეია! რათა? რისთვის?

არ დადგა გონების მოკრების დრო, მენშევიკებო!?

## სიმპტომები და მიზეზები.

(დასასრული).

ვერც ერთი ჟანდარმი, ვერც ერთი ,,სტრაჟნიკი'' ვერ გაბედავდა ძველად იმას, რასაც ჩვეულებრივად სჩადიან დღეს სოფლად მილიციის მოსამსახურენი.

მაშ როგორც უნდა გამოსწორდეს საქმე, როგორ უნდა ჩადგეს ცხოვრება წესიერ კალაპოტში? მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებები აქ ვერაფერს გვიშველის. პირიქით ეს ბრძანებები მხოლოდ ართულებენ საქმეს, რამდენადაც ისინი შეიცავენ კანონის მიერ გაუთვალისწინებელ მოქმედებას.

მართლაც და რა აზრი აქვს მოწოდებას: ,,წესიერად გაისაჯეთო', თუ თვით წესი არ არსებობს? ასეთ პირობებში მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებები მხოლოდ უმნიშვნელო ბგერათა კომპლექსია და მეტი არაფერი.

ჩვენის აზრით უნდა შეიცვალოს თვით საფუძველი თანამედროვე ცხოვრებისა.

მოგვეცით კანონი, ბატონებო, კანონი!

აგერ ორი წელიწადი თავდება, რაც სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ წესით თუ უწესოებით გაიყვანა დამფუძნებელ კრებაში შემაძრწუნებელი უმრავლესობა. ვინ გინდათ, რომ დამფუძნებელ კრების წევრად არ ითვლებოდეს დღეს? ჩვენ გაგვიგონია, რომ დამფუძნებელი კრებები ყოველგან ერის ინტელლიგენციის საუკეთესო ნაწილისაგან შესდგებოდენ. საუბედუროთ, ეს სრულიად არ ითქმის ჩვენი დამფუძნებელი კრების შესახებ.

ადვილი გასაგებია ასეთ პირობებში რა არის იმის მიზეზი, რომ საქართველოს დღესაც არ აქვს შემუშავებული თავისი კონსტიტუცია, სხვა კერძო კანონებს რომ თავი დავანებოთ.

ყველა ამაში, მე ვფიქრობ. თვით სოციალ დემოკრატების ბელადებიც დამეთანხმებიან. მათაც ესმით, მგონია, რა საჭიროებას წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების მოსაწესრიგებლად საკანონმდებლო მუშაობა. მაგრამ რა გაეწყობა, როდესაც სოციალ-დემოკრატებს ვერ შესწევთ ამისათვის საჭირო არც მოქალაქეობრივი, ინტელექტუალური განვითარება.

სახელმწიფოებრივი კანონის შემოღება ხომ სინონიმია პარტიული ჰეგემონიის მოსპობისა. აბა რომელი ბრიყვი დასთანხმდება თავის თავად იმაზე, რომ მისთვის ხელსაყრელი სიტუაცია მოისპოს. გადაჭარბებად ნუ ჩამომართმევს ვინმე შემდეგ სიტყვებს: სოციალ დემოკრატებისაგან შემდგარი საქართველოს დამფუძნებელი კრება აგვიანებს ქართველი ერის დაფუძნებას, ვინაიდან ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგება სოც.-დემოკრატიული პარტიის ჰეგემონიას.

მეორე მიზეზიც ამ მოვლენისა არა ნაკლები ყურადღების ღირსია. საუკეთესო წარმომადგენლები ქართული ინტელლიგენციისა დღეს დამფუძნებელ კრების გარეშე დარჩენ. როგორ უნდა შესძლოს დღევანდელ შემადგენლობის კრებულმა რიგიანად დააფუძნოს ქვეყანა? განა ეს ასეთი იოლი საქმეა, რომ სოციალ-დემოკრატების იარლიკი საკმაო იყოს მის პირნათლად შესასრულებლად? აკი ევროპიელ თანამოაზრეებმა პირში უთხრეს ჩვენს სოციალ-დემოკრატებს: ბევრ შეცდომებს ჩადიხართ, რადგანაც გაკლიათ ცოდნა და გამოცდილებაო.

ასეთ პირობებში, მართლაც, მხოლოდ ის ლა რჩება, რომ მთავრობის თავმჯდომარემ ბრძანებები სწეროს ბოროტმოქმედთა ასალაგმავად. მაგრამ ბოროტმოქმედების სუბსტანცია ამ გზით არ მოისპობა. ქართველი სოციალ-დემოკრატი უნდა იყო, რომ გაიზიარო ის აზრი, თითქო ცხოვრებას ბრძანებები და დეკრეტები სცვლიდენ. თავმჯდომარის ბრძანებებს წაიკითხავენ, და იმ ჟამსვე დაივიწყებენ.

,,საუკეთესო ასული საფრანგეთისა ვერ მოგვცემს იმაზე მეტს, რაც მას აქვს'', სწორედ ამნაირად უგულწრფელესი წარმომადგენელი სოციალ დემოკრატიული პარტიისა, ბ. ნ. ჟორდანია ვერ იძლევა იმაზე მეტს, რაც გამომდინარეობს სოციალისტურ იდეოლოგიიდან, რომელიც ვერ არჩევს სიმპტომს მიზეზისაგან.

## პ რ ე ს ა.

### ,,შეკავშირების საჭიროება''

ამ სათაურით ,,აშხატავორი''-ი 12 ოქტომბრის ნომერში სწერს:

,,ამიერკავკასიის ორ რესპუბლიკათა პოლიტიკურ ჰორიზონტზე გადაეფარა შავი ღრუბლები, რომელნიც ყოველ წუთს მზად არიან თავზარი დასცენ მშრომელ კლასს... ყარსის რაიონში ოსმალთა ანტირევოლუციურ ბანდების წინსვლელობას უკავშირდება აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჯარების შეჯგუფება ყაზახის და ღაფანის რაიონებში, რომლის შესახებ ცნობას იძლევიან ქართული გაზეთები, ოსმალ-ბალშევიკთა პოლიტიკური პროგრამა ამიერკავკასიის მიმართ ერთობ ცხადი და გასაგებია.

საფიქრებელია, რომ ბალშევიკები წასწევენ ბაქოსკენ ძალდატანებით თავიანთ დაქანცულ და ღონემიხდილ არმიის ჯარისკაცებს; აზერბაიჯანი მართველობას კი გადასცემენ თავიანთ მოკავშირე მუსთაფა ქემალის ,,რევოლუციურ'' მთავრობას. ამგვარად მიმდინარეობს ბალშევიკების და მუსთაფა ქემალის პრაქტიკული ურთიერთ დამოკიდებულება. ამ პირობებში ნახჯევან-ყარაბაღის და ყარს ყაზახის ხანების დაპყრობა წარმოადგენს მუსთაფა ქემალისათვის მორიგ საჭიროებას. ამ მიმართულებით საკმაო მცირე გამარჯვებაც კი, რომ ამიერ კავკასიის დემოკრატიამ დაჰკარგოს თვისი რევოლუციით მონაპოვარიც და თვისი ფიზიკური არსებობაც საშიშროებაში დაინახოს. ამ მხრით სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკების ბედი მჭიდროდ არის და მოკიდებული მათი თანამშრომლობის და მოქმედების ხაზისაგან. შეუძლებელი იქნება განცალკევებულად იარაღის ან მოლაპარაკებების საშვალებათ ხსნა ერთი რესპუბლიკისა, თუ მეორე დაეცემა და იქნება განადგურებული. სომხეთის დაღუპვა საბედისწერო იქნება საქართველოსთვის და აგრეთვე საქართველოს დაღუპვას უნდა უეჭველად მოჰყვეს სომხეთის დაღუპვა. ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ცხადათ სჩანდა ორივე რესპუბლიკეის დამოუკიდებლობის ისტორიის მსვლელობაში.

ამ პირობებში საქართველოს და სომხეთის პოლიტიკური წრეები უაღრესად უნდა დაფიქრდნენ საერთო ენის მოსაძებნათ და ურთიერთშორის კონტაქტურ დამოკიდებულობის დასამყარებლად. დღემდე საკითხების მთელ რიგს არ მიუღია თავისი საბოლოვო გადაწყვეტა; საჭიროა სწრაფი შეთანხმება ამ საკითხებში, რომ შესაძლებელი გახდეს უფრო მჭიდროდ შეკავშირება ორი თანამოიღბლე ხალხისა თანამედროვე საერთო საშიშროების ჟამს. საშინელი საშიშროების წინაშე მშრომელი მასსები ინსტინქტიურად გრძნობენ შეკავშირების და თანამშრომლობის საჭიროებას და მმართველ წრეებს აწევთ დიდი პასუხის მგებლობა მომავალის წინაშე თუ რომ ეს შეკავშირება და თანამშრომლობა არ განხორციელდა სინამდვილეში. აღმოსავლეთის მომავალი, ორივე რესპუბლიკების აყვავების და განვითარების საკითხი დამოკიდებულია მხოლოდ ამისაგან. ხსნის სხვა საშუალება ან გამოსავალი არ არსებობს. ეს გარემოება კარგათ უნდა შეიგნონ ორივე სახელმწიფოს მმართველმა წრეებმა. დრო არ ითმენს, უნდა ვისწრაფოთ''.

საქართველოს და სომხეთის შეკავშირებაზე და მათ შორის სამხედრო კავშირის შეკვრაზე ჩვენი გაზეთი სწერდა იმ დღესვე, როდესაც ქემალისტების ჯარებმა მოულოდნელად გადალახეს სომხეთის საზღვრები.

მდგომარეობა მართლაც სახიფათოა ორივ სახელმწიფოსათვის: სამხრეთით ოსმალეთი, ჩრდილოეთით რუსეთი და აზერბაიჯანი... დიდი ენერგია და წინდახედვა გვმართებს, რომ დავძლიოთ მოუსვენარი მტერი... ამასთანავე ერთად საჭიროა ეხლავე დაუყონებლივ მოხდეს შეთანხმება საქართველოსა და სომხეთს მმართველობა და ხელმძღვანელი წრეები შორის სახელმწიფო საზღვრების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი კავშირი გულწრფელი არ იქნება. საჭიროა ვიცოდეთ, რა აზრისაა დღეს სომხეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთის ხაზის შესახებ? ჩვენს შეკავშირებას ღირებულებაცა და მნიშვნელობაც მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, როდესაც ჩვენივე კონფლიქტების საბაბები სრულიად მოშორებული იქნებიან.

## ,,ერთობა'' და სახელმწიფო კონტროლი

ჩვენი გაზეთი შეუდგა სახელმწიფო კონტროლის რევიზორების მოხსენებათა ბეჭდვას.

ყოველ დემოკრატიულ სახელმწიფოში, სახელმწიფო კონტროლის მასალები ნათელია მთელი საზოგადოებისათვის და მით უმეტეს პრესსისათვის. საზოგადოებამ უნდა იცოდეს რა ხდება სახელმწიფოს მართველ წრეებში და ამ მიზნით ყველგან ფხიზელ ყურადღებას აქცევენ სახელმწიფო კონტროლს, რომელიც „სახელმწიფოს თვალად" ითვლება.

ასევე არ არის საქართველოს „დემოკრატიულ" რესპუბლიკაში: ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ სახელმწიფო კონტროლი ვერ ასულა იმ სიმაღლემდე, რომ თავისი უფლებანი და კონტროლის სასტიკი ფუნქციები განახორციელოს ყველა დაწესებულებაში: არიან ისეთი დაწესებულებანი, როგორც მომარაგების სამინისტრო, რომელიც სრულებით არ ემორჩილება სახელმწიფო კონტროლს და დამოუკიდებლად მართველობს.

სწორეთ ამ მიზნით შეუდექით ჩვენ სახელმწიფო კონტროლის მოხსენებების ბეჭდვას, კერძოთ მომარაგების სამინისტროს შესახებ, რომ ნათელ გვეყო საზოგადოებისათვის, პირუთვნელი და ავტორიტეტული ორგანოს აზრი ხსენებულ სამინისტროში გამეფებულ ბოროტებათა შესახებ.

გაზეთი „ერთობა" რომ მართლა საზოგადოებრივი აზრის ორგანო იყოს და დაინტერესებული სახელმწიფოს სვებედით და არა პარტიული ქონიანობის ვექილი, ის თვით აიღებდა ხელში ამ მოხსენებათ და სამართლიან მსჯავრს დასდებდა იმათ, ვისაც ეს მოხსენებანი შეეხებიან.

მაგრამ „ერთობამ" თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა ყველა ბოროტმოქმედი და ეხლა კი სწერს:

„რატომ „საქართველოს" მონოპოლიით გახდა'' ამ მოხსენების ბეჭდვა? „თუ კონტროლს რომელიმე რევიზიის აქტის გამოქვეყნება საჭიროდ მიაჩნია, ის მოვალეა მიაწოდოს ყველა რედაქციას."

კაცი რომ ლაფში შესცურავს, სწორეთ ამას ჰქვია! ნუ თუ, „ერთობას" რომ სურვილი ჰქონოდა, ამ აქტებს განა ვერ იშოვიდა? მაგრამ მათი გამოქვეყნება „ერთობის" ამხანაგების განადგურებას ნიშნავს და უნტერ ოფიცრის ქვრივი ხომ არ არის, რომ საკუთარი თავი გაიროზგოს?

ამის ნაცვლად „ერთობა'' თავის „განს" აგდებს წინ და ასეთი უცნაურობით უნდა ფონს გავიდეს:

,,ცხადია, კანტროლმა იცის რომ ამა თუ იმ საქმის სათავეში დგას სპეკულიანტი და ქურდი და რაკი იცის, ის მოვალეა მოიქცეს თანახმად კანონისა. კანონი კი ავალებს მას, როგორც კი შენიშნავს ბოროტ-მოქმედებას, აღძრას დაუყონებლივ შუამდგომლობა პროკურორის წინაშე ასეთი პირების სამართალში მისაცემად. და აი ჩვენ გვინდა ვიცოდეთ—აღძრა თუ არა კანტროლმა ასეთი შუამდგომლობა და თუ აღძრა, ვისთან და როდის? იქნებ პროკურორები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას მათ მიერ აღძრულ შუამდგომლობას?! თუ ასეა—ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რატომ ხდება ასე და იცის თუ არა ეს იუსტიციის მინისტრმა?''

დიახ! კონტროლმა იცის ეს! იცის პროკურორებმაც, იუსტიციის მინისტრმაც და იცის „ერთობამაც''.

და ჩვენ იმედი გვაქვს რომ ამის შესახებ თვით სახელმწიფო კონტროლი მისცემს ,,ერთობას" პასუხს და თუ მან ჩვეულებისამებრ ვერ „მოახერხა" მაშინ ,,ერთობა" ჩვენგან მიიღებს ამ პასუხს!

## სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციათა თათბირისათვის.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელნი დრო-გამოშვებით, განსაკუთრებით კი როდესაც რესპუბლიკა რაიმე ხიფათს განიცდის, პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების კრებას იწვევენ შექმნილი მდგომარეობის გასარკვევად და ახალი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად.

ეს სავსებით გასაგებია. სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეს უკვე სამი წელიწადია მმართველობის სადავე უკავია ხელში და ამის გამო ავი თუ კარგის თვის იგი პასუხისმგებელია ქვეყნის წინაშე. ხალხის წინაშე პასუხის მგებლობა კი ყველაზე მძიმე ვალდებულობაა.

ერთი ასეთი თათბირი უნდა მოხდეს დღეს. როგორც ,,ერთობის" მეთაური გვაუწყებს ამ თათბირის საგანს ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა შეადგენს. ამ თათბირს, გაზეთის აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება შემუშავებულ გეგმის პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარებისათვის. მთავარი სწორედ ეს არის, თორემ გეგმის და კარგი გეგმის შემუშავება არც ისე დიდი საქმეა და, უკეთეს შემთხვევაში, ჩვენს მდგომარეობას ვერ გარდაჰქმნის.

,,ერთობა'' სამართლიანად აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის დღევანდელი მდგომარეობა დაახლოვებით ისეთია, როგორც იყო პოლიტიკური მდგომარეობა ორი წლის წინად. მაშინ ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა მეტად მძიმე იყო ,,მაგრამ, როგორც ,,ერთობა'' აღნიშნავს, ,,დემოკრატიის ერთსულოვნობამ და შეგნებამ ეს დაბრკოლება გადალახა და რესპუბლიკა ჩამოყალიბდა''. მართალია, და ამას თვით ხელმძღვანელ პარტიის ორგანოც აღიარებს, რომ ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაშიც ჯერ კიდევ მრავალი დეფექტია, მაგრამ მათი გამოსწორება თანდათანობით არ არის ძნელი.

სულ სხვაა ჩვენი ეკონომიური ვითარება. ის მეტად მძიმე, კრიტიკული. და თუ პოლიტიკური კრიზისების გადასალახავად საჭირო გახდა ჩვენი ხალხის, დემოკრატიის „ერთსულოვნობა და შეგნება'', მძიმე ეკონომიური მდგომარეობაც მხოლოდ ჩვენი ერის ერთსულოვანი მოქმედებით თუ გამოსწორდება. სოციალ-დემოკრატიულმა თათბირმაც, თუ უნდა მას რომ მის მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმამ „გადამჭრელი მნიშვნელობა'' იქონიოს ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გამოსასწორებლად უნდა შეიმუშაოს ისეთი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც თავის გარშემო მთელი ხალხის „ერთსულოვნობას" შეჰქმნის. უნდა დავრწმუნდეთ საბოლოოდ, რომ ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც ხალხის მცირე ნაწილის არამც თუ უბრალო თავმოყვარეობას, არამედ ნამდვილ ინტერესებსაც რომ აკმაყოფილებდეს, მიუღებელი არის და მუდამ დარჩება სახელმწიფოსთვის. ჩვენს სინამდვილეში უდავოა, რომ გაბატონებული ეკონომიური პოლიტიკა მიუღებელია ხალხის უმრავლესობისთვის, არც უმცირესობისთვის მოუტანია რაიმე სარგებლობა ჩვენს ეკონომიურს პოლიტიკას. ეს საკვირისი უნდა გახდეს მის რადიკალურად გადასინჯვისთვის.

ერთს ასეთს თათბირზე, ამ წელიწად ნახევრის წინად, ბ. ნოე ჟორდანიამ ფრიად სწორედ დახასიათა ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის ბუნება და შედეგები: ,,სამწუხაროდ; ეკონომიურ ფინანსიური ჩვენი მდგომარეობა წარსულ წელთან შედარებით, გაუარესდა.'' მთავრობის თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ ეკონომიური კრიზისს ევროპის ქვეყნებშიც განიცდიან, ,,მაგრამ ამ ქვეყნებში გამოძებნილია გზები იმისთვის, რომ კრიტიკული მდგომარეობიდან გამოვიდნენ და მთელი ხალხი ამაზე მაცადინობს, ჩვენში კი სამწუხაროდ, ეს არ სჩანს.''

ჩვენი ცხოვრებისთვის ამ ზომად მწვავე დიაგნოზის დასმის შემდგომ სოციალ-დემოკრატიამ განაგრძო თავისი ეკონომიური პოლიტიკა. შედეგებიც ცხადია: ბ. ნოე ჟორდანიას კიდევ მეტის უფლებით შეუძლიან დღევანდელს თათბირზე განაცხადოს, რომ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა იმ თათბირის შემდგომ ერთი ოცად კიდევ გაუარესდა და არ სჩანს, რომ მთელი ხალხი მის გამოსწორებას მეცადინეობდეს. თავიდან რომ არ დავიწყოთ, ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში, ჩვენი ფულის ფასი თითქმის ასჯერ დაეცა. 1918 წლის ნოემბერ დეკემბერში 40 მანეთად ჰფასობდა გირვანქა სტერლინგი. ეხლა კი სტერლინგი 4000 მანეთზე მეტი ჰფასობს. მხოლოდ ერთი წლისა და სამი თვის განმავლობაში 1919 წლის 1 იანვრიდან ამა წლის 1 აპრილამდე უცხოეთიდან ჩვენ შემოვიტანეთ 1,313 მილიონის სღირალი საქონელი და გავიტანეთ 527 მილიონის, საზღვარ-გარეთიდან ზედმეტად შემოტანილი 787 მილიონად ღირებული საქონლის ფასი ჩვენ დავფარეთ ჩვენი სხვა სიმდიდრით—უცხო ვალიუტით, ძვირფას ნივთებით და სხ. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ჩვენ დაგროვილი გვქონდა რამოდენიმე წლის განმავლობაში დამზადებული ნედლი მასალა. ამათანავე ჩვენი მოთხოვნილებაც დღევანდელთან შედარებით, გაცილებით ნაკლები იყო. ჩვენ გვქონდა დარჩენილი აუარებელი სამხედრო მასალა და სანოვაგე, ხალხს ჰქონდა აგრეთვე შერჩენილია წარსულ წლებში შეძენილი საცმელ-დასახურავი და სხვა საჭირო საქონელი. სახლებიც ნაკლებად საჭიროებდენ შეკეთებას, გზებიც უფრო გაუფუჭებელი იყო, და სხვა. ეხლა უკვე ყოველივე შეკეთებას და გაკეთებას მოითხოვს. მაშასადამე, სახალხო და სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი დიდათ მატულობს. ამავე დროს სახალხო მეურნეობის თუ სახელმწიფოს რეალური შემოსავალი სრულიადაც არ მატულობს. წინააღმდეგ ამისა, კიდეც კლებულობს.

ყოველივე ამის შედეგები ცხადი ფაქტია: სახალხო მეურნეობის დაცემა, გაღატაკება და სახელმწიფო ფინანსების კრახი, გაკოტრება.

როგორი ეკონომიური პოლიტიკა გვიხსნის ამ ხანად საშიშ მდგომარეობისაგან? მხოლოდ ისეთი, რომელიც, ბ. ნოე ჟორდანიას სიტყვით, ,,უკვე'' გამოძებნილია ევროპის ქვეყნებში და რომლის მეოხებით მთელი ხალხი მეცადინობს'' კრიტიკულ მდგომარეობიდან გამოსვლას. ისეთი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც არ იქნება დამყარებული განყენებულს დოგმებზე, ვიწრო პარტიულს თავმოყვარეობას თუ სურვილზე, არამედ მთელი ხალხის ინტერესებზე, ასეთი პოლიტიკა შექმნის იმ ,,ერთსულოვნობას'', რომელმაც ,,ერთობას" სამართლიანი სიტყვით არა ერთხელ იხსნა ჩვენი პოლიტიკური არსებობა ამ სამი წლის განმავლობაში.

თუ ჩვენმა სოციალდემოკრატიამ საბოლოოდ მიიღო სახელმძღვანელო პროგრამად: დემოკრატიის შემწეობით სოციალიზმისაკენო, მაშინ აუცილებელი უნდა იყოს ამ გზაზე დემოკრატიული ეტაპის გარება. მაშინ აუცილებელია იმ დემოკრატიული ეკონომიური პოლიტიკის მიღება, რომელიც ევროპის სახელმწიფოებში სწარმოებს და რომელიც ხალხს ერთსულოვნად ამოქმედებს. ჩვენმა სოციალდემოკრატიამ ბოლოს და ბოლოს თავი უნდა დაანებოს სირაქლემის პოლიტიკას და თავის მოტყუებას. საჭიროა ყველამ შევიგნოთ, რომ ამ ჟამად ჩვენ არ გვაქვს არავითარი მტკიცე ეკონომიური პოლიტიკა: არც დემოკრატიული, არც სოციალისტური. ყოველი სამინისტრო, ყოველი დიდი თუ პატარა მოხელე, ქალაქი თუ თემი საკუთარ პოლიტიკას აწარმოებს. საკმარისია გავიხსენოთ, რამდენჯერ დაჰგმო ჩვენმა მთავრობამ რეკვიზიციები და უპასუხისმგებლო მტაცებლობა, მაგრამ ამას სრულიად არ მოუსპო ეს სისტემა. გავიხსენოთ უკანასკნელი ჩვენი მთავრობის დეკლარაცია თავისუფალ ვაჭრობის შესახებ, რომელიც ჩვენი მისიების საშუალებით მთელს ევროპას ემცნო. ვგონებ რევოლიუციის პირველ თვეებშიც არ ჰქონდა ადგილი ამ „თავისუფლების" ისე ხშირად დარღვევას, როგორც ამ დეკლარაციის შემდგომ. უნდა აღვიაროთ, რომ ასეთს პირობებში არ შეიძლება რომ გამომთელდეს ჩვენი ეკონომიური ცხოვრების რომელიმე დარგი. სასოფლო მეურნეობა ვერ გაუმჯობესდება, კულტურული მეურნეობა ვერ გაძლიერდება, ვინაიდან კარგ მეურნეობას კაპიტალის ჩაყრა უნდა. მას კარგი ინვენტარი უნდა, კარგი სადგომ-სახლ კარობა და მუშა საქონელი. ყოველივე ეს კი კარგი სახლ-კარობა და საქონელი ყოველს წამში შეუძლიან მიითვისოს თემმა, მილიციამ, მთავრობამ თუ კიდევ სხვამ, ვისაც მოეხასიათება. ქარხნები და ფაბრიკები აბა ვინ რეგვენმა უნდა ააგოს, როდესაც ყოველს წამში შეუძლიანთ მისი ჩამორთმევა თუ რეკვიზიცია, ქალაქს თუ ერობას თავის ბიუჯეტის დროებით მაინც გამოსასწორებლათ ჩვენი ეკონომიური ცხოვრება ასეთი პოლიტიკით, თუ უპოლიტიკობით, სრულად შებოჭილია, ხელფეხ შებორკილი.

მთავრობის თავმჯდომარეს და სხვა ხელმძღვანელ ორგანოებსაც მრავალჯერ განუცხადებია, რომ ისინი არ ებრძვიან კერძო თაოსნობას, კერძო ინიციატივას. ფაქტიურად მთელი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა ამ კერძო ინიციატივასთან ბრძოლას წარმოადგენს. ეს რასაკვირველია, სრული უარყოფაა დემოკრატიული პოლიტიკის, რომელიც ამ ჟამად ყველა დაწინაურებულს ქვეყნებში, ბატონობს. კერძო წარმოების ხარჯზე, კერძო წარმოებით შექმნილ სიმდიდრის ხარჯზე ხელოვნურად საზოგადოებრივი წარმოებების შექმნა და მოწყობა, ზოგან აშკარად, ზოგან ფარულად, უკვე სისტემად გადაიქცა ჩვენ საქალაქო და სასოფლო თვითმართველობებში, მერე ვის მოუტანა სარგებლობა კერძო წარმოებათა შევიწროვებამ და ხელოვნურად საზოგადო მეურნეობის შექმნამ? გააიაფა ცხოვრება, გააუმჯობესა ვინმეს მდგომარეობა გარდა ზოგიერთ იმ პირებისა, რომელნიც ამ „საზოგადო'' მეურნეობას თავს დასტრიალებენ? ყველა ეს წარმოებები ამასთანავე დეფიციტს იძლევა, თუ გამოვიკვლევთ მათ შემოსავალ გასავალს ნამდვილ ეკონომიურ შინაარსს. მხოლოდ ეს არ არის ყველასთვის გამოაშკარავებული ჩვენი ფულის დაცემის გამო. თუ რომელიმე ასეთმა წარმოებამ შარშან მთავრობისგან ორი მილიონი სუბსიდია მიიღო და წრეულს სამი მი-

...ონი შემოსავალი შეადგინა, წ..რმო... ხელმძღვანელნი ამაყად განაცხა... ბენ, რომ მათ ერთი მილიონი მოგე... ნახეს. ნამდვილად კი ამ წარმოე... ზარალი ნახა, არა ნაკლებ ექვსი ...დი მილიონისა და ეს ზარალი დაი...რა ჩვენი ფულის დაცემის ხარჯზე. ...რთობა" ჯერ კიდევ დარწმუნებულია, ...ომ საწარმოვო ძალთა განვითარება, რაცი...ონალური წარმოების მოწყობა, მეტი ...ნოვაგის დამზადება, დამზადებული ...ქონლის სიიაფე, ყველა ეს უფრო ად...ლად მისაღწევია საზოგადოებრივი წა...როების საშუალებით და უფრო ხელ...საყრელია დემოკრატიისთვის". არც ...როპის ეკონომიური განვითარების ...ტორია და არც ჩვენი უკანასკნელი ...ის პრაქტიკა არავითარ საბუთს არ ...აძლევს, რომ საზოგადო წარმოებას ...ელა ეს თვისებები მ ვანიჭოთ. ზედმე...ია იმის მტკიცება, რომ საზოგადო ...არმოება უფრო იაფი იყოს. ეკონო...ურ მეცნიერებაში უდავოდ არის მი...ღებული, რომ საზოგადო წარმოება უფ...ო ძვირი ჯდება და ის თითქმის ყო...ლთვის დეფიციტს იძლევა. ამასთანა... საყურადღებოა ისიც, რომ ყველა ...იდი საზოგადო წარმოებანი—ტრამვაი, ...ყალსადენი, რკინის გზები, განათება ...ა სხ. აღმოცენებულია კერძო თაოსნ...ბის საფუძველზე. ვასცემდენ კონცესიას ...რძო მწარმოებლებზე, ისინი შექმნი...ენ უდიდეს წარმოებას, რომელიც გან...საზღვრულ დროს შემდგომ სრულად ...ქთად რჩებოდა სახელმწიფოს, ან ...უნიციპალიტეტს. რასაკვირველია, ასე ...ქთად მიღებული ქონება დიდათ „ხე...ლსაყრელია დემოკრატიისთვის". მაგ...რამ ეს „ხელსაყრელი წარმოება" მხო...ლოდ მაშინ შეიქმნება, თუ კერძო ინი...ციატივას მუშაობის საშუალება ექნება. ამიტომ ჩვენ უკიდურესი ზომები უნ...და მივიღოთ იმისთვის, რომ კერძო წა...რმოების განვითარებისთვის საჭირო ...პირობები დავამყაროთ. რამდენი მეტად ...განვითარდება ეს კერძო წარმოება, იმ...დენად მეტად მისი დაბეგვრა შეეძლება სახელმწიფოს: სხვა და სხვა გადასახადებით, თუ კონცესიის ვადის გასვლის შემდგომ მთელი წარმოების მუქთად მიღებით. მხოლოდ ამ გზით შეიძლება დემოკრატიისთვის „უფრო ხელსაყრელი" წარმოებების შექმნა.

რასაკვირველია, თუ ჩვენი სახელმწიფო და სამუნიციპალო ორგანოები რაიმე განსაკუთრებულ ეკონომიურ შემოქმედებას გამოიჩენენ და მეტოქეობას გაუწევენ კერძო ინიციატივას, მაგრამ არა მათი ახით და წართმევ-ჭაგლეჯით, არამედ ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობით, ღმერთმაც ქნას! ეს ხომ კიდევ უმჯობესი და სასარგებლო იქნება დემოკრატიისთვის. მანამდე კი ხელს ნუ უშლით კერძო წარმოებას, ნუ დაუხშავთ მას მოქმედების გზას, ნუ ვაიძულეთ მას გულ-ხელ დაკრეფილი იყოს ჩვენი პოლიტიკით დაშინებული.

საღი ეკონომიური პოლიტიკის შემუშავებისა და წარმოების საქმეს, რამდენადაც ვიცით, მმართველი წრეები უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დააკისრებენ რომელიც ამ მოკლე დროში უნდა შედგეს. ამ საბჭოს არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, თუ ის „საბჭო" იქნა. აუცილებელია, რომ ეს საბჭო მმართველობის სრულ უფლებიანი ორგანო იყოს და მის ძალა უფლების ეკონომიურ პოლიტიკის სფეროში დაემორჩილოს ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულება. აუცილებელია, რომ ეკონომიურ პოლიტიკის ხელმძღვანელს ორგანოს უშუალოდ დაექვემდებაროს ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის, მომარაგების, მიწად-მოქმედების, გზათა და შრომის უწყებანი. თუ ამ, სამინისტროებმა თავიანთი ერთმანეთთან შეუთანხმებელი ეკონომიური პოლიტიკა აწარმოეს, საბჭო ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული დაწესებულება იქნება.

როგორი უნდა იყოს ამ ახალ, უმაღლესი ეკონომიური მმართველობის პირველი ნაბიჯები, ამაზე შემდგომ.

ა. ასათიანი

# დეპეშები.

## გერმანული ცნობები.

გერმანია და საფრანგეთი.

გარეშე საქმეთა მინისტრმა ხერონსმა ბერლინში მყოფ საფრანგეთის ელჩს ლურანს, უკანასკნელის პარიზში გამგზავრების წინ გადასცა ნოტა ფინანსების და ზარალის ანაზღაურების საკითხების გამო გერმანელ და ფრანგ ექსპერტების ოფიციალურ თათბირის დანიშვნის შესახებ, რათა ამ გზით მომზადდეს ნიადაგი მომავალ საერთაშორისო კონფერენციისათვის,

საპროტესტო მიტინგები.

დამოუკიდებელი სოციალისტები ხვალისთვის იწვევენ 15 საპროტესტო მიტინგს იმ აქციონერთა წინააღმდეგ, რომელთა გამოისობითაც პრუსიის სეიმში გავიდა რეზოლიუცია მუნიციპალიტეტში ახალ არჩევნების დანიშვნის შესახებ, რაც უმთავრესად მუშების წინააღმდეგ არის მიმართული.

როხპოინტის მოხსენება.

„მილიტერი პოლიტიკალი!" კორესპონდენტი ბუქდაკს მოხსენებას, რომელიც 1917 წელს ზაფხულში ყოფილმა კრონპრინცმა გადასცა ყოფილ იმპერატორს, კოროლს და უმაღლეს მთავარსარდალს და რომელშიაც იგი სამხედრო მასალის ნაკლულევანების და ფართო მასშტაბის ზავის ჩამოგდების სურვილის გამო, ადამიანთა ძვირფას სიცოცხლის გადარჩენის გამო მოითხოვდა შეტევის შეჩერებას და შედგომილ ზავის ჩამოგდებად ნიადაგის მომზადებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ამბობდა, კრონპრინცი 1918 წ. გერმანია ჩავარდება საშინელ მდგომარეობაშიო.

## ლიონის ცნობები.

დელაკრუა ლონდონში.

ბელგიის პრემიერი დელაკრუა კვირას ლიოდ ჯორჯთან სათათბიროდ ლონდონში ჩავიდა.

მეფე ალექსანდრეს ავადმყოფობა

თანახმად ათინიდან მოსულ ცნობებისა საბერძნეთის მეფის ალექსანდრის ჯანმრთელობა გაუარესდაო. მოელიან პარიზის მედიკურ ფაკულტეტის პროფესორის ვიდოლიას ჩამოსვლას.

იტალია და სლავია.

ბელგრადიდან იუწყებიან: სამხრეთ სლავიის მინისტრთა საბჭომ იტალიასთან მოლაპარაკების საწარმოებლად საგარეო მინისტრი ტრუმბოჩი და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ლიჩიჩი აირჩია.

რუსეთი და პოლონეთი.

საფრანგეთის პრესა იუწყება: საბჭოთა რუსეთისა და პოლონეთის შორის დროებითი ზავი კიდევ არ არის ხელმოწერილიო. ორთავე დელეგაციის სეკრეტარიატები დაბრკოლების შესახებ იტყობინებიან.

ვილნოს დაკავების გამო.

კოვნოდან იტყობინებიან რომ, ვილნო პოლონეთის ჯარმა დაიკავაო. პოლონეთის მთავრობა უარყოფს ამ ცნობას. შექმნილ მდგომარეობის გამო სარკვევად ვილნოში ხალხთა ლიგის კომისია გაემგზავრა.

პოლონეთი და რუსეთი.

„დეილი ხრონიკლი" იუწყება: წინასწარი ზავს რიგაში ორშაბათს მოაწერეს ხელიო. მეორე დეპეშაში კი აღნიშნულია, რომ პოლონეთსა და რუსეთს შორის საქმე გართულდაო.

იტალიის პასუხი ამერიკ სადმ.

გაზ. „მესაჯერი" აგვისტოს 28 სწერს, იტალიის ელჩმა ვაშინგტონში ამ დღეებში აცნობა ბ-ნ კოლბის იტალიის მთავრობას პასუხი ამერიკის მთავრობის რუსეთის საკითხის შესახებ გამოგზავნილ ნოტაზე. ეს პასუხი გაცემულ იქმნა სიტყვიერად, ოლო გრაფ სფორცმა დაიცვა უფლება შემდეგში ამ საკითხზე იტალიის შეხედულობა უფრო გარკვეულია წერილობით გადაცემისა.

რამდენადაც ჩვენ გავიგეთ იტალიის ელჩს განუცხადებია ბ-ნ კოლბისათვის, რომ იტალიის მთავრობამ სიამოვნებით მიიღო ამერიკის ნოტა ვინაიდან მას სურს ჰქონდეს მუდმივი თანხმობა მოკავშირეებთან, აგრეთვე იცოდეს ამერიკის შეხედულება რუსეთის საკითხზე.

განათლების ლიგა.

ამიენის პატუშაში მომხდარ განათლების ლიგის უკანასკნელ სხდომას თავმჯდომარეობდა საფრანგეთის განათლების მინისტრი. მან სხვათა შორის სთქვა შემდეგი: 1870 წელში გერმანელზე ლაპარაკობდენ როგორც მასწავლებელზე, საფრანგეთის მასწავლებელმა მეტი სარგებლობა მოუტანა ქვეყანას, ვიდრე მთავარმა შტაბმა ვინაიდან ამ მასწავლებელმა აღზარდა ახალგაზრდობის სული, იმ ახალგაზრდობისა, რომელმაც ომის დროს დიდი სულის სიმტკიცე გამოიჩინა.

## რუსეთის ცნობები

პოლონეთი და რუსეთი

მოსკოვი 11—10 „იზვესტია" სწერს-ეხლა უკვე იმედი უნდა გვქონდეს, რომ პოლონეთის ზავი დაიდება, მაგრამ იქნება ის ხანგრძლივი... (დამახინჯებულია)... ამიტომ ჩვენ ფხიზლათ უნდა ვიყოთ, ჩვენ ვრანგელი უნდა დავამარცხოთ, სანამ მას საფრანგეთი და ინგლისი დახმარებას აღმოუჩენს. შეიძლება ზამთრამდე კიდევ ცოტა დრო დარჩა, რომ საბოლოოთ გავწმინდოთ სამხრეთი შავრაზმელებისაგან. ზამთრის განმავლობაში ჩვენ აუცილებლად უნდა მოუღოთ ბოლო ამ კონტრ-რევოლიუციონურ რაზმს, რათაიგი არ გაძლიერდეს სანამ რუსეთის კონტრ-რევოლიუცია საბოლოოდ არ დამარცხება, მას ყოველთვის შეაფარებენ თავს უცხოელები, რომელთაც სძაგსთ საბჭოთა მთავრობა. მათ რიცხვში ყოველთვის იქნებიან პოლონეთის იმპერიალისტები ამიტომ ჩვენ მთელი ჩვენი ძალღონით უნდა ვეკვეთოთ ვრანგელს. მტკიცე ზავი ბურჟუაზიულ მთავრობასთან შეუძლებელია, ჩვენ მშვიდობიანი შრომას ვერ შევსძლებთ სანამ არ მოვსპობთ ბარონს. „პრავდა" სწერს: ინდოეთის ქალი მხოლოდ ოჯახისათვის ცოვრობა, უსწავლელობა, აჯრე დაოჯახიანება, ყოველთვის აცილებდა მას საზოგადოებრივ ცხოვრებას. ერთად ერთი მისი გასართობი მეჩეთში ტაძრებში რელიგიოზურ წიგნების საჯარო კითხვა იყო. ამას გარდა კანონით მას არსად წასვლის ნება არ ქონდა. ეხლა ასე აღარ არის: ინდოეთის ქალები უკვე აქტიურ მონაწილეობას იღებენ. ინდოეთის პროლეტარი ქალები არა მარტო გაფიცვებში იღებენ მონაწილეობას, არამედ შეიარაღებულ ძალთა კერძო შეტაკებებშიაც. ინდოეთის საშუალო კლასი თანაგრძნობით ხვდება მუშათა მოძრაობას №. ინდოეთში ყოველი ეკონომიური გაფიცვა პოლიტიკურ საპროტესტო ხასიათს იღებს ბრიტანეთის კაპიტალის ექსპლოატაციის წინააღმდეგ. ინდოეთის ქალაქებისა და სოფლების პროლეტარიატი კარგ ნიადაგს წარმოადგენს კომუნისტური იდეებიისათვის... ინდოეთის მუშებისათვის თანდათან ნათელი ხდება, რომ არა მხოლოდ ინგლისის მონობისაგან ეროვნულ განთავისუფლებაშია მისი ხსნა, არამედ კაპიტალის მონობისაგან სრულიად განთავისუფლებაში. და ამ უკანასკნელ ბრძოლაში ინდოეთის პროლეტარი ქალს უჭირავს და დაიჭერს არა უკანასკნელ ადგილს.

საზღვარ გარეთ.

უკანასკნელ ხანებში საფრანგეთის ბურჟუაზიული გაზეთები ხშირათ იმეორებენ, რომ საფრანგეთი რუსეთზე თავდასხმისათვის ემზადებაო. თუ ეხლა პოლონეთმა ჩვენთან ზავი შეკვრა ეს აიხსნება მისი შინაური დაშლით, რომ მშრომელ კლასს არ უნდოდა ბრძოლა მუშათა და გლეხების რუსეთთან. ბურჟუაზიას დარჩა ერთი იმედი ბარონი ვრანგელი, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა მოისპოს. ჩვენმა ჯარმა დაამარცხა ვრანგელის ზოგი ნაწილები, როცა ჩვენ ჩავაცმევთ და გავათბობთ ფრონტს, ვრანგელი დაუყოვნებლივ განადგურებული იქნება. დაეხმარეთ ფრონტს, ზამთრამდე უნდა მოისპოს ვრანგელი.

სამხედრო ცნობა. სმორგონის სამხრეთით ჩვენ სოფლები დავიჭირეთ, მირსკის რაიონში ჩვენ კოიდანოკი და ამ დაბის ჩრდილოეთით და სამხრეთით 30 ვერსზე მდებარე სოფლები დავიჭირეთ. სლუცკის დასავლეთით 10 ვერ. გზატკეცილის გასწვრივ მტრის იერიშები მოვიგერიეთ. სამხრეთით სლუცკის დასავლეთით 10—20 ვერსზე ჩვენ სოფლები ავიღეთ. ლუნინეცის რაიონში უმნიშვნელო შეტაკებებია. სარნის მიმართულებით ჩვენ მტერი დევსკისკენ დავწიეთ. ნოვგოროდ ვოლინის რაიონში ჩრდილოეთით 10—15 ვერსზე რამდენიმე ადგილი დავიჭირეთ. დამატებითი ცნობებით ამ ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით ბრძოლის დროს ჩვენ 42 ტყვე წამოვიყვანეთ. ბესლოვის რაიონში ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 12 ოფიცერი და 340 ჯარისკაცი. ხელთ ვიგდეთ 2 ტყვიის ფრქვეველა და სხვა სამხედრო ქონება. გულაი-პოლესა და ბერდიანსკის მიდამოებში ჩვენი შეტევა სასურველად ვითარდება. ჩვენმა ჯარმა გულაი-პოლე დაიჭირა.

# პრესაში

ბოლშევიზმის კატასტროფა.

ასეთი სათაურით გაზ. „ტან-"ში მოთავსებულია შემდეგი წერილი:

„რუსეთიდან მოსული ცნობების თანახმად ბოლშევიზმი ფატალური სიჩქარით მიექანება დაღუპვისაკენ. რუსეთის მმართველები,—თუ კი შეიძლება მათ მმართველები უწოდოთ, ყოველმხრივ აღრმავებენ კომუნიზმს. კომერცია და ბანკები რუსეთში უკვე აღარ არსებობს, რადგან ბაზარში არ არის არც ფული და არც საქონელი. კომუნიზმი მძვინვარებს მთელი თავისი სიმკაცრით. არავის არ შეუძლია შეიძინოს რაიმე, საოდაც ნორმაზე ზევით. ხეპრე დოქტრინერების დაუდევრობა ლოდივით აწევს მთელ ხალხს თავზე. ლოღიკა და აუცილებლობა მოითხოვს წარმოებას. ლენინიზმის ყოველგვარი ცდა უკვე იქით არის მიმართული, რომ აღადგინოს განადგურებული ვაჭრობა-მრეწველობა და მეურნეობა, რომელიც კერძო საკუთრების უარჰყოფის გამო ყველგან მოისპო.

როგორ აღწევენ ისინი თავიანთ მიზანს?

ფაბრიკა ქარხნებში საკმაო საჭმელის უქონლობის გამო მუშებს დასჩემდა საშინელი სიზარმაცე და ბოლშევიკებიც იძულებულნი შეიქნენ დაბრუნებოდენ ძველ წესრიგს წარმოების საქმეში: დაუნიშნეს მუშებს ზედამხედველები, რომელთაც მიანიჭეს უმაღლესი მთავრობის დასტურით მუშის სიცოცხლეზე და სიკვდილზე განუსაზღვრელი ძალა-უფლება. ეს უფროსები,—რომელნიც დღეს საბჭოთა რუსეთში ქარხნის პატრონისა და დირექტორის მოვალეობას ასრულებს,—ყოველ მშვენიერ წუთს არღვევენ რვა საათის სამუშაო დღესა და თავიანთ ხელ-ქვეით მოსამსახურე-მუშებს ამუშავებენ. განუსაზღვრელი დროის განმავლობაში. ამ გზითა და ასეთი მეთოდით შემოღებული მონობა ერთად-ერთი ახალი აღმოჩენაა ბოლშევიკების მიერ წარმოების საქმეში. მაგრამ მიუხედავად როზგებისა და სიკვდილით დასჯისა საბჭოთა რუსეთში არც მუშათა რიცხვი მატულობს და არც მუშაობის ინტენსივობა.

სოფლის მუშა,—მიწის მესაკუთრე,—თავის მიწიდან და შრომიდან ღებულობს იმდენს, რამდენიც საჭიროა მისი საბრალო სიცოცხლის შესანარჩუნებლად, დანარჩენს კი ართმევენ. ასეთი წესით მოწეული მეურნეობა ძლივს ჰყოფნის თვით სოფელს, მაშინ როდესაც ქალაქები სავსებით დაიმშა.

ბოლშევიკებმა გაანადგურეს პოლიტიკური და ეკონომიური თავისუფლების უკანასკნელი ჩანასახიც კი.

მაშინ როდესაც საფრანგეთისა და ინგლისის რევოლიუციამ წარმოშვა თავისუფალი პიროვნება და მისცა მას სრული უფლება საკუთარი შრომისა და სიმდიდრის ზედამხედველობისა,—ბოლშევიკურმა რევოლიუციამ კაცობრიობას მისცა ყოველგვარი უფლება ახდილი და ნივთიერად გაქურდული ინდივიდი".

ქართველი მენშევიკები.

გაზ. „პრავდა"-ში მოთავსებულია შემდეგი წერილი ვინმე ბარსოვისა: „მაისის 7 დან 12-ს შემდეგ რუსეთ—საქართველოს ზავის ერთ ერთი მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობამ ციხიდან გამოუშვა დატყვევებული კომუნისტები. კომუნისტები მაშინვე შეუდგენ მუშაობას. მენშევიკებმა ისევ დაიწყეს ჩვენების წინააღმდეგ რეპრესიები და მასიური დატუსაღება. მენშევიკები დარწმუნდენ, რომ ლენინიზმი ჩვენთვის ძლიერ ხელსაყრელია, და რომ ამით მენშევიკების დღე დათვლილია. ასეთია ქართველი მენშევიკების, ბ. ჩხენკელის, წერეთლის, ჟორდანიასი და კომპ. პოლიტიკის ახალი კურსი რევოლიუციისა და კომუნიზმის წინააღმდეგ მიმართული.

კოლჩაკის დახვრეტა.

სევასტოპოლის გაზეთში „Заря Россіи" ენკენისთვის 7 ნომერში მოთავსებულია დაწვრილებითი ცნობები კოლჩაკის დახვრეტის უკანასკნელ წუთებში, როდესაც ჯალათმა მიაწოდა ადმირალს თვალის ასახვევი შავი ტილო, ადმირალს უთქვამს: მთელს ჩემს სიცოცხლეში მე ყველას პირდაპირ უყურებდი, რადგან გულწრფელად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას სამშობლოს წინაშე. დღესაც ასეთივე პირდაპირობით მინდა უყურო ყველა იმათ, ვინც რუსული ვინტოვკით განმათავისუფლებს იმ მძიმე მოვალეობიდან; რომელსაც რუსეთის დახსნა ჰქვია?

ჯალათმა მაინც აუხვია თვალები..

მგლების თავზე სახარებას კითხულობს!



6. აზიანის

პატარა ფელეტონი

## ჩვენო ბახუსო!

[illegible]

. . . . . . .

ეს მომართვა ლექსათ უნდა გამეგრძელებინა, ჩემო ბახუსო, მაგრამ, რადგან მე პოეტი არა ვარ, მეორეც ესა, ლექსი, თუნდაც ლამაზი და კოხტა, მაინც ძაან ვიწრო ხურჯინია და ყველაფერს ვერ ჩასტევ შიგ.

გამოსაგზავნი კი ბევრი დარდი და ვაება მაქვს, ამიტომ ვირჩიე ისევ უშნო, მაგრამ ბარაქიანი მაფრაშა პროზა....

სადა ხარ ჩვენო გაჭირვების ტალკვესო, მხიარულო, დარდიმანდო ბახუსო! ეხლა, ამ სიცივის და შიმშილის დროს, გვჭირს შენი თავი, თორემ შემდეგ, კისერიც გიჩხია, ძალიან დასაკვეხი კი არ არის შენთან ნაცნობობა და მეგობრობა! მარტო შენი სახელის გახსენებაზე ცლეთმელეთი მოსდის და სირცხვილისაგან იწურება ყოველი პატივცემული ფილისტერი! რა უყოთ, რომ პოეტებმა: ა. ჭავჭავაძემ, გრიგოლ ორბელიანმა, ბოდლერმა, ბერანჟემ და ბევრმა სხვამ, ქებათაქება გიძღვნეს! სამაგიეროდ, რომ ბოლშევიკებმა პირდაპირ სიკვდილიც კი დააწესეს შენთან ნაცნობობისთვის! (თუმცა, როგორც გადმომცეს, მათი ბობოლები კი მაინც ჩუმ-ჩუმად, უკანა კარებიდან დაიარებიან შენთან... მაშ არა და დამიჯერე, რომ მიტიუხა და ტროფიმი სამუდამოდ გაგიწყრნენ შენ!.)

მაშ რა ძალიან თავს იდებ და მაღლა ფარდებში იწევ? რატომ გახდი ეგრე მიუწდომელი?! შენც, სხვა ღმერთებივით, ხომ სვინდისი არ გაჰყიდე? მუზა „ქიმერიონში" შესულა „კანკანის" საცეკვავათ, ფემიდა „წითელი" არმიელების სათრევი გამხდარა „ჩრეზვიჩაიკა"-ში, მელპომენე ხასათ დასჯდომია ალიოშა წუწუნავას...

ეგ ერთი შენ გვეგულებოდი გულახ-

[illegible] ბახუსთან ეძიეთ!"...

რაზე გაგვყიდე, შე კისერ მოსაჩეხო: სტერლინგებზე თუ ბონებზე? კიდევ კარგი, თუ ჩვენს რისხვას გაექცევი და „მალცივის ფეჩების" ჩამოსატანათ მოასწრობ საზღვარ—გარედ გაპარვას! (თურმე პარიზი და ლონდონი არც ეგრე შორს ყოფილა, როგორც ჩვენ გვეგონა: ზოგიერთებს იქ გასეირნება ისე ეადვილებათ, როგორც „ნახალოვკა"-ში მიტინგზე წასვლა....)

ერთი სიტყვით, მოთმინების ფიალა აივსო! თუ შენც ხელი აიღე ჩვენზე და არ მოგვხედე ამ ზამთარს, იცოდე, ვიღუპებით! მთავრობამ გულახდილად შემოგვითვალა—ჩემი იმედი ნუ გექნებათ. თქვენ თვითონ იზრუნეთ შეშისთვისაც, ნავთისთვისაცაო... აზერბეიჯანში თურმე სოციალიზმი დაუმყარებიათ და ნავთი თვითონა სჭირდებათ მკვენარებისთვისაო. მაშ რა უყოთ, ბახუსო, ვინ დაგვათბობს, ვინ მოგვანელებინებს უმ საჭმელს (კომისრებს, რეკვიზიციას, ერაძეს, მომარაგების სამინისტროს, „გან"-ს და სხვა ამისთანა ტლანქ სახუთქავს...) თუ არ ისევ შენ?! სიკვდილთან, „მორფისთან", „მიშიაკთან" მიკედლებას, ისევ შენი კალთა არ გვირჩევნიან? მართალია, პური გაგვიუმჯობესეს, მაგრამ, რა ვიცი, დიდიხნით? ამ დღეებში შემოეთვალათ: „ხან და ხან" „პრიკაზებსა" და გაზეთებში გულახდილ ცოდვების მონანიებასაც უნდა დასჯერდეთო"...

რა ვიცით, იქნება მართალია ნოყიერიც იყვეს ეგ „მონანიება" და პურის მაგიერობა გაგვიწიოს... როგორც, მაგალითად, გერმანიაში პურის ნაცვლად, თურმე კართოფილსა ხმარობენ.... მაინც და მაინც შენი იმედიცა გვაქვს, ჩვენი ბახუსო... ხანდახან მაინც მოგვხედე და შეგვიწყალე.

## სომხეთ ოსმალეთის ომი

საქართველოში მყოფ სომხეთის დიპლომატიური მისიის ცნობა.

ოფიციალურად იუწყებიან: ღვინ. 9 და 10 ფრონტებზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

ერევნიდ 6. სომხეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ ასეთი შინაარსის მოწოდებით მიმართა ხალხს: სომხეთის ხალხმა ოსმალეთის მთავრობის ტირანიასა და სიმკაცრესთან ას წლობით ბრძოლით მოიპოვა დამოუკიდებლობა, გაინთავისუფლა თავი უცხოელთა მონობის უღლისაგან და მოაწყო თავისუფალი დამოუკიდებელი სახელმწიფო: აგვისტოს 16, სევრში საჯაროდ იცნეს სომხეთის დამოუკიდებლობა როგორც დიდმა სახელმწიფოებმა, ისე ამ სახელმწიფოებთან ხელშეკრულების დამდებმა ოსმალეთმა, რომელმაც სომხეთის სასარგებლოდ უარი განაცხადა ვანის, ბითლისის, ერზერუმის და ტრაპეზუნდის ვილაეთებზე ახლა სომხეთი მოელოდა ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტის არბიტრისაგან სომხეთის რესპუბლიკის საზღვრების საბოლოოდ გამიჯვნას. ამ მიზნით სომხეთი შეუდგა მშვიდობიან კულტურულ მუშაობას ოსმალთა მიერ დანგრეულ ადგილების აღსადგენათ. სომხის გლეხობა ასი ათასობით დაეწაფა ყანის მუშაობას. ეს მუშაობა უეცრად შეწყდა და ხალხი იძულებული გახდა ისევ იარაღისათვის მოეკიდა ხელი თავის გაანთავისუფლებულ სამშობლოს დასაცავად. ოტამანიის მთავრობამ სექტემბრის 29 დაარღვია თავის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება, ვერ შეურიგდა სომხეთის თავისუფალ არსებობას და თავისი არა ოფიციალურ აგენტის ქემალ ფაშას სახით დასძრა თავისი ჯარები სომხეთის რესპუბლიკის შუაგულ ადგილისკენ ყარსის, ოლთის, არტაანის, ყაგიზმანის და სურმალინის რაიონებისაკენ სომხეთის რესპუბლიკის საბოლოოდ გასანადგურებლად. ოსმალთა ძალების შემოტევის გამო დასახელებულ რაიონის მცხოვრებლები იძულებული შეიქმნენ ისევ დაეტოვებიათ ას წლობით ძლივს მოშენებული სამყოფლები. ახალი საფრთხის წინ თავისი სამშობლოს დასაცავად სომხეთის ხალხი ისე აღსდგა, როგორც ერთი კაცი, ამ კრიტიკულ დროს სომხეთის მთავრობა მთელი სომხეთის ხალხის სახელით მიმართავს განათლებულ კაცობრიობასა და მათ მთავრობებს პროტესტით ოსმალთა ნაციონალისტების ბნელ განზრახვების საწინააღმდეგოთ და მოუწოდებს რომ დაეხმარონ ამ ბრძოლაში სომხეთის ხალხს. უკანასკნელი დარწმუნებულია, რომ მას არ დატოვებს განათლებული—კაცობრიობა უყურადღებოთ. ღვინ. 8, 1920 წ. ქალაქი ერევანი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და გარეშე საქმეთა მინისტრი ოგანჯანიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოში მყოფ საბჭოთა მთავრობის მისიის ცნობები.

**ინგლისი და ვრანგელი.**

ბათომი. ღვინობისთვის 10-ს. ენკენისთვის 12-ს ნიუიორკიდან სევასტოპოლში ჩამოვიდა გემი „ვლადიმერი" რომელმაც ჩამოიტანა ორთქლმავალის ქვაბები და არტილერიის ყუმბარები.

**პოლონეთი არ ცდავს დროებით ზავს.**

ნაუენი. ღვინობისთვის 10 (რადიო). მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთსა და ლიტვის შორის დროებითი ზავია, პოლონელები მაინც აწარმოებენ იეროშებს. ლიტვაში შესდგა კომიტეტები, პოლონეთის წინააღმდეგ ომის გასაძლიერებლად.

**საქონლის შეტანა აზერბეიჯანში.**

ბაქო. ღვინობისთვის 11. ღვინობისთვიდან დაიწყება აზერბეიჯანში თურქესტანის ნედლი მასალის შეზიდვა.

## სომხეთ-ოსმალეთის ომი.

**მდგომარეობა ფრონტზე.**

გენერალი სილიკიანი ყარსიდან პირდაპირი მავთულით იტყობინება, რომ ეს არის დაათვალიერა ყარსის რაიონის ფრონტი. ჯართა განწყობილება ფრიად ამაღლებულია, ისინი მზად არიან შეასრულონ თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. ჩვენი მდგომარეობა მტკიცეა, ჯარებში სუფევს ის რწმენა, რომ [illegible]

[illegible] დაივიწყონ ყველა პარტიული უთანხმოებანი სამშობლოსათვის ამ საშიშ ჟამს თავი მოიყარონ მთავრობის გარშემო და სოლიდარული თანამშრომლობით გააძევონ ჩვენი ჩაზღვრებიდან სომხეთის საუკუნოებრივი მტერი.—

**სომხეთის პრემიერი მოხალისედ.** ამერიკიდან ერევანში მოსული სომხეთის ყოფილი პრემიერი კაჩაზნუნი ბუმბრიდან მომქმედ ჯარში მოხალისეთ გაემგზავრა.

## კონსტ. თუმანიშვილის დატუსაღება.

მთავრობის დადგენილებით 6 თვის ვადით დატუსაღებულ იქმნა გაზ. „გრუზია" ყოფილი რედაქტორი შავი ქვის საიმპორტო საზ-ს „ჩემოს" თავმჯდომარის ამხანაგი ბ. კონსტ. პავლ. თუმანიშვილი.

მას ბრალდება მთავრობის თავმჯდომარის ბ. ნოე ჟორდანიას პირადი შეურაცხყოფა და ცილის დაწამება.

კონსტ. თუმანიშვილი უკვე ციხეში გაგზავნეს.

როგორც გამოგვცემენ, მართველი წრეების ზე-გავლენით საზოგადოება „ჩემოს" გამგეობაც იძულებული იქნება ბ. კ. თუმანიშვილი თანამდებობიდან განთავისუფლოს.

## მთა.

„ველნი გორეც"-ი იუწყება... ვლადიკ ვკავ ს საბჭოთა წრეებში ამბობენ, რომ მათის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა მორიგ საკითხად სდგას. ამით უნდათ გაანელონ ის დიდი ეროვნული მოძრაობა, რომელსაც ადგილი აქვს მთაში.

— მარიამ ი ბისთვის ბოლოს, თ. ხ. შურაში ჩამოვიდა ორჯონიკიძე და ლევანდოვსკი; შემდეგ კომუნისტური პარტიების საგანგებო სხდომა ორჯონიკიძემ განაცხადა, რომ მას აქვს ცენტრალური მთავრობიდან დავალება თუცილებელ საჭიროების დროს მათის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადოს: მთიელი კომუნისტები ასეთ აზრს ერთხმ ნაადრევად სთვლიდენ. დამოუკიდებლობის შესახებ ღრმა პატრიოტული სიტყვა ხთქვა კოვალევმა, რომელსაც ორჯონიკიძემ ღვარძლიანი კილოთი „ტამბოვის მთიელი უწოდა".

# ახალი ამბები.

## მთავრობაში.

[illegible]

ნიზაცია. ქალაქის საბჭოს საბინაო განყოფილებას რეორგანიზაცია [illegible]

## სამინისტროებში.

— შრომის სამინისტროში. [illegible]

[illegible] ძნებელ კრების დადგენილებით ასეთ საქმეს იხილავს შრომის სასამართლოები და მის დაარსებამდე კი სამომრიგებლო სასამართლოებით.

## თვითმართველობაში.

— საბინაო განყოფილების რეფორმა [illegible]

[illegible] რების გაზრდა, რათა მუშებისათვის და მოსამსახურეთათვის პურის მიწოდების საქმე გაუმჯობესდეს. ინსტრუქციები ვალდებულად ხდიან ტეხნიკურ ზედამხედველობის აგენტებს თვალყური ადევნონ და არ შეაჩერონ წისქვილების მუშაობა. მათვე ევალებათ გამაფრთხილებელ ზომების მიღება რომ წისქვილის მუშაობა არ შეჩერდეს. აგენტებმა უნდა ადევნონ თვალყური რათა წისქვილებზე არ დაიფქვას გაუწმენდელი ხორბალი და სხვ.

— **ქალაქის საბჭოში.** ქალაქის გამგეობის წევრის ზესელიძის მოხსენება. ქალაქის საბინაო საკითხის მოსაწესრიგებლად საჭიროა მიღებულ იქმნას სახელმძღვანელოდ მის მიერ შემუშავებული ინსტრუქცია შემდეგი სახით: 1. მოქალაქეთა იძულებითი გადასახლება სახლებიდან აკრძალულია. შენიშვნა: პირველი მუხლი არ შეეხება იმ მოქალაქეთა ბინებს, რომელნიც საჭირო იქნებიან სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებათათვის. 2. ბინები, რომელნიც განთავისუფლების თანავე გადადიოდა ქალაქის გამგეობის განკარგულებაში და იბეჭდებოდა დღეიდან ანგარიშიდან იხსნება და ბრუნდება მეპატრონეთა განკარგულებაში. 3. ბინები და ოთახები აილება ანგარიშში განსაკუთრებული წესით ყოველ კერძო შემთხვევაში ცალკე. 4. ბინები და ოთახები მიეცემათ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათ, ისეთ პასუხ საგებ თანამდებობისნ სპეციალისტ მუშა მოსამსახურეთ, რომელთაც ქალაქში სრული ად არ აქვთ ბინა, ხოლო მათი ყოფნა ქალაქში აუცილებელია სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმისათვის. ასეთი საჭიროება ყოველ კერძო შემთხვევაში დადასტურებულ უნდა იქმნას სათანადო უწყების ან დაწესებულების უმაღლეს ორგანოსაგან. მეოთხე მუხლში მოხსენებულ პირთ ბინები მიეცემათ ჩასახლების შევიწროების წესით, რომლის ნორმებსაც იმუშავებს საბინაო განყოფილება. ქალ. საბჭ. ეს პროექტი მიიღო.

## სხვა და სხვა ამბები.

— **ავიაცია.** ოქტომბრის 9 სამხედრო მფრინავმა სტროევმა, ლეიტენანტმა ციციშვილმა და მფრინავმა მოროზოვმა იტალიიდან ახლად ჩამოტანილ ჰაეროპლანების გამოსაცდელად ფრენა მოაწყვეს. მფრინავებმა დიდი სისწრაფით იფრინეს. ჰაეროპლანები კარგი გამოდგა.

— **ფოსტა-ტელეგრაფი საქართველოში.** ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ დაასრულა ცნობების შეკრება რესპუბლიკაში არსებულ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებ თა აგვისტოში მუშაობის შესახებ. აგვისტოში მიღებულ და გაგზავნილ იქნა (მათ რიცხვში ბანდეროლური და პერიოდული გამოცემანი) 984.649 ივლისის თვესთან შედარებით გადაგზავნილი იქნა 60.254 წერილით მეტი შეკვეთილი, წერილითკი 42.477 გადაგზ ვნილა.

— **სვანეთის განიარ ღება.** ცაგერი. სვანეთის განიარაღების საქმის ხელმძღვანელ—კომისიას, ლეჩხუმის საზაზრო ერობას, ლეჩხუმის ჯუდიას, სვანეთის მილიციას, მთავრობის თავმჯდომარემ [illegible] საგანგებო რწმუნებულის რ. ყ-ფ-ანის მოხსენება სვანეთის განიარაღების შესახებ, [illegible] განიარაღების პირადი შრომით, რჩევით და საქმის ხელმძღვანელობით, მთავრობის თავმჯდომარემ ფრიად საყურადღებოდ მიაჩნია განსაკუთრებით, ის რომ [illegible] რთული და პასუხ-საგები საქმე, როგორც არის ამა თუ იმ კუთხის განიარაღება, დამთავრდა სრულიად მშვიდობიანად; ეს მით უფრო ღირსშესანიშნავია.

— **სახელმწიფო თეატრში.** ოქტომბრის 2, კარლ კაუცკიმ თავის მეუღლით სახელმწიფო თეატრი ინახულა. ხალხი მას აღფრთოვანებით მიეგება. ოქტომბრის 3 კარლ კაუცკი დაესწრო „ამსალომს და ეთერს". მეორე მოქმედების შემდეგ მთელი დასი და თეატრის მუშები სცენაზე გამოვიდნენ კაუცკის მისასალმებლად. თეატრის კომისარმა წუწუნავამ დასის, თეატრის მუშების, ორკესტრის და გუნდის სახელით კაუცკის სიტყვა უთხრა და სხვათა შორის სთქვა: დღეს თეატრში ჩვენთან უდიდესი სიხარულია. დღეს ჩვენს შორის იმყოფება მსოფლიოს სიყვარულის კეთილშობილი რაინდი კარლ კაუცკი. საზოგადოება ფეხზე ადგა და ხანგძლივი ტაშის ცემით დაჯილდოვა ხალხის ბელადი. დასმა, და ორკესტრმა შეასრულა ინტერნაციონალი.

— **საბჭოთა მისიის ახალი შემადგენლობა.** მოსალოდნელი არის საქართველოში მყოფი საბჭოთა მისიის შემადგენლობის შეცვლა: კიროვის მაგივრად იქნება შეიმანი, რომელიც დღეს რუსეთში საგარეო ვაჭრობის კომისრადაა. მართლდება ხმები რუსეთის გაწვევის შესახებაც.

— **გენერ. მაზნიაშვილისა და ჯიჯიხიის საქმე.** რესპუბლიკის სამხედრო სასამართლოს ბრალმდებლობა მირიანაშვილმა დაიწყო საბრალმდებლო ოქმს შეუდგა გენ. მაზნიაშვილისა, გენ. ჯიჯიხიასი, შტ. კაპ. ნაზარეიშვილის, შტ. როტმ. მამულაშვილი და ოფიც. კანდელაკის საქმეების შესახებ. პირველი ორს ბრალდებათ 1918 წ. თებერვალში თათრებზე ახალციხისა და მისი მაზრის გაძარცვა, და სხვა სამხედრო დანაშაული. საქმე გაირჩევა ნოემბრის დასაწყისს.

## სომხეთ-აზერბაიჯანის კონფერენცია.

ბაქოში სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა არუტიუნიანმა აცნობა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტროს, რომ აზერბაიჯანის მუშათა გლეხთა და ჯარის კაცთა საბჭოებმა მოისმინა რა ნარკომინდელის ჰუსეინოვის მოხსენება ერთხმად დაადგინა, ეთხოვოს სომხეთის მთავრობას სომხეთ-აზერბეიჯანის კონფერენციის მოწვევა. სომხეთის მთავრობამ მიიღო ეს წინადადება იმ პირობით, რომ კონფერენცია გაიხსნას ერთ-ერთ ნეიტრალურ ან სომხეთის ქალაქში. პირველად განიხილავენ ტყვეების გაცვლა-გამოცვლის საკითხს.

## ბრძანება შინაგან საქმეთა მინისტრისა

1) ბათომის ოლქის საგანგებო კომისრის, 2) ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსისა, 3) ტფილისის ქალაქის სისხლის სამართლის მილიციის უფროსის და 4) განსაკუთრებული რაზმის უფროსის მიმართ.

თანახმად უცხო ვალუტის ოპერაციის მომწესრიგებელ საგანგებო სათათბიროს მიერ ამა წლის 16 ენკენისთვეს გამოცემულ სავალდებულო დადგენილებისა, რესპუბლიკის საზღვრებში სავალიუტო ოპერაციის წარმოება მინდობილი აქვს რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის კანტროლის ქვეშ და მისი ინსტრუქციესის თანახმად: 1. კავკასიის ბანკს, 2. ვაჭართა ბანკს, 3, ამიერ-კავკასიის ბანკს, 4. ევროპიულ ბანკს, 5. ცენტრო ბანკს, 6. ფრიდონოვის საბანკო კანტორას, 7 აზოვ-დონის ბანკის ტფილისის განყოფილებას, 8. ვოლგა-კამის ბანკს ტფ. განყ., 9. საერთაშორისო ბანკს ტფ. განყ., 10 იტალო-კავკასიის ბანკის ტფ. განყოფილებას და 11. კოოპერატიულ ბანკს.

ის პირები, რომლებსაც ზემოდასახელებულ ბანკთან აქვთ საქმე, თავისუფალნი არიან სავალიუტო ოპერაციების წარმოებაში. ხოლო [illegible] ცნობებ [illegible] არსებობს კიდევ [illegible] კერძო პირთა, [illegible] ზემოხსენებულ ბანკებისა [illegible] სავალიუტო [illegible] ნეთ მიიღოთ მთ წინააღმდეგ სასტიკი ზომები, დანაშავეინი დაატუსაღოთ, ჩარიცხოთ ჩემზედ და ოქმი წარმიმდგინოთ მე.

დედ ნ ხელს აწერს მ. ნისტრის ამხანაგი ჭ ჭ-ნაძე.

## სულხანიშვილის ოჯახი.

კომპოზიტორი მოკვდა.

მისი ოჯახი არ იყო ნებიერი ოჯახის მარჩენელის სიცოცხლის დროს.

სიკვდილის შემდგომ რა იქნებოდა, ადვილად წარმოსადგენია.

ქვრივი და ობლები...

შიმშილისა და ავადმყოფობის ანაბარად...

ადგილობრივ გაზეთებმა უკვე აღნიშნეს მათი საშინელი მდგომარეობა.

დედა ავადაა, გალაღებული, ლოგინად ჩავარდნილი, ექიმად, სადღაც მივარდნილ სოფელში—აწყურში.

სამწუხაროა, რომ ამ ოჯახს, არ ვიცით რატომ, დღემდინ ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქცია ვერც მთავრობამ და ვერც სამუსიკო საზოგადოებამ.

ამიტომ მივმართავთ თვით საზოგადოებას...

საზოგადოებას, რომელსაც გაჭირვებაში ჭირის დალხენა მშვენიერ მუსიკით სწყურდება ხოლმე, ხოლო ლხინის დროს იმავე მუსიკით ალმაფრენა..,

მიჰხედონ ვისაც როგორ ძალუძს უბედურ ოჯახს..

გვახსოვდეს:

ჩვენი სულხანიშვილის ოჯახი იქ აუწერელს მდგომარეობაშია,

როგორშიაც თვით გამოქცეული ქურთის ოჯახიც კი არ იქმნება...

მაშ მივხედოთ მას...

**კახელი.**

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: **სპ. კედია.**

## ჩვენი ზღვა.

**შესავალი.**

უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ მნიშვნელობა სახელმწიფოსი და მისდამი ყურადღება იზრდება იმდენად, რამდენადაც ეს სახელმწიფო უზრუნველ ყოფილია გარეშე მტრების დაცემისიგან და რამდენადაც შიგ სახელმწიფოში სუფევს წესიერება და მტკიცე დისციპლინა. ამ ჭეშმარიტებას ჩვენთვის უმეტესი ძალა და მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით დღეს, როდესაც იფურჩქნება და ფრთებს ისხამს ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება და დამოუკიდებლობა. დღეს ჩვენი ცხოვრების ჩარხის ტრიალი უნდა მოეწყოს ისე, რომ ყოველთვის მზად ვიყოთ ომისათვის. რასაკვირველია, საჭიროა გვყავდეს კარგი მოკავშირეები, გვქონდეს ყველა მეზობელ ერებთან კეთილი და მეგობრული განწყობილება, რომ უბედურების დროს არ დავრჩეთ მარტო, მაგრამ მლად კი არ უნდა დავეყრდნოთ სხვების იმედებს, და თუ ვინცობაა მოკავშირეებმა არ გაგვიმართლეს იმედები და განსაცდელის დროს ხელი აიღეს ჩვენზე, მაშინ ჩვენ უნდა შეგვწევდეს იმდენი ძალა, რომ საკუთარის ღონით გავუმკლავდეთ მტრებსა და დავიცვათ ჩვენი არსებობა. დიაღ, კარგია მეგობრული კავშირი მეზობლებთან, უარყოფა საზღვრების გადიდების, სახელმწიფოს გაფართოების და სხვებზე თავდასხმის იდეისა, მაგრამ კიდევ უკეთესია' როდესაც ასეთს პოლიტიკას სახელმწიფო აწარმოებს ისე, რომ მან შეიძლოს მტრების მოგერიება, თუ ვინიცობაა ასეთნი გაუჩნდებიან მას და მოისურვებენ მაზე თავდასხმას, მის დამოუკიდებლობის შელახვას, მის ტერიტორიის წართმევას, მის დაპყრობას, დამონებას. თუ როგორ უნდა მოეწყოს ასეთი ცხოვრება სახელმწიფოსი, როგორ უნდა გამაგრდეს სახელმწიფოს პოზიცია ზღვაზე და ხმელეთზე,—აი ის უმთავრესი საგანი, რომლის შესახებ გვსურს გავუზიაროთ მკითხველებს ჩვენი შეხედულება.

**ა. ზღვის მნიშვნელობა სახელმწიფოსთვის.**

არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის, როცა მას აქვს საკუთარი ზღვა, ზღვის ნაპირები, საკუთარი ნავთსადგურები, საკუთარი ხომალდები. თუ კი პეტრე დიდს ბალტიის ზღვის ნაპირების დაპყრობით, პეტერბურგის დაარსებით შეეძლო ეთქვა, რომ მან გაუღო რუსეთს ფანჯარა ევროპისაკენ, საქართველოს მით უმეტეს შეუძლიან თამამად სთქვას, რომ შავი ზღვის საშუალებით, ბათომ—ფოთი—სუხუმკალე ნავთსადგურების მეოხებით მას უკვე გაღებული აქვს ფართო კარები ევროპისაკენ და თითქმის ყველა განათლებული ქვეყნებისაკენ. ამ ნავთსადგურებიდან საქართველოს შეუძლია გატანა თავის ნაწარმოებისა მსოფლიო ბაზარზე და შემოტანა სხვა ქვეყნების საქონელთა. საქართველოს კი აქვს იმდენი ბუნებრივი სიმდიდრე, მაგალითად: მარგანეცი, ნავთი, ქვა-ნახშირი, ოქრო-ვერცხლი და სხვა მადნეულობა, რომ, როცა ის კარგად დაამუშავებს ყველა ამას და შესძლებს იყოლიოს თავის საკუთარი გემები, როცა ნავოსნობის საქმეს საქართველო მოაწყობს სასურველად, მაშინ მსოფლიო ბაზარში ის დაიჭერს ისეთს თვალსაჩინო ადგილს, რომ მარტო ვაჭრობა—ნავოსნობითაც მას შეეძლება დაჰფაროს მთელი სახელმწიფო ხარჯების თითქმის ნახევარიც. პატარა ფინიკიამ ძველ საუკუნოების მსოფლიო ისტორიაში დაიჭირა თვალსაჩინო ადგილი იმის გამო, რომ მისი მრავალრიცხოვანი ხომალდები, დატვირთულნი ოქროთი და ვერცხლითა, გამწკრივებული ფრინველებივით, დანავარდობდნენ მსოფლიო ზღვაზე. ვენეცია, მილან გენუა და, იტალიის სხვა თავისუფალი ქალაქები იძენდნენ დიდს სიმდიდრეს თავის საკუთარი სავაჭრო გემების მეოხებით და პალესტინასთან ნავოსნობის საშუალებითა ვაჭრობა-მრეწველობის უმაღლეს წერტილამდის განვითარებით, რაისაგამო ეს ქალაქები საშუალო საუკუნოებში გამოცხადდენ დამოუკიდებელ რესპუბლიკებათ.

ზღვაოსნობის განვითარებამ საშუალ საუკუნოებშივე გარდაქმნა კაცობრიობის ცხოვრება. ქრისტოფორე კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენით (1492 წ.) იწყება ახალი ხანა მსოფლიო ისტორიისა. დიდმა მეზღვაურებმა დიაცმა და ვასკო-დე გამამ პატარა პორტუგალიას ევროპაში მოუპოვეს საპატივო ადგილი პირველ ხარისხოვან სახელმწიფოთა შორის, როდესაც პირველმა აღმოაჩინა „კეთილ იმედის" კონცხი (1484 წ.), ხოლო მეორემ იპოვა საზღვაო გზა მდიდარ ინდოეთისაკენ (1498 წ.). ისპანიამ დაიჭირა ევროპაში თითქმის პირველი ადგილი მას შემდეგ, რაც გამოჩენილმა მეზღვაურებმა კორტეცმა და პიზაროსმა დაიპყრეს მექსიკა (1519 წ.) და პერუ (1529 წ.) და გახადეს ამერიკა ისპანიის ახალშენათ და შემოზიდეს ევროპაში ამერიკის ოქრო.

ნავოსნობის განვითარება შეუძლია არამც თუ გამდიდრება ქვეყნისა, არამედ ისიც, რომ იხსნას სახელმწიფო უბედურობისაგან, დაიცვას იგი გარეშე მტრების თავდასხმისაგან, უზრუნველჰყოს სამშობლო ზღვის მხრითა. როდესაც 1588 წელში ესპანიის მეფემ ფილიპპე მეორემ გაჰგზავნა ინგლისში თავისი უძლეველი არმადა, რომ დახმარებოდა მარიამ სტუარტს ელისაბედ ტუდორის წინააღმდეგ, ინგლისის დედოფალი ელისაბედი და მისი მინისტრები შეიპყრო შიშმა, რადგანაც მათ არ ჰყავდათ საკმაო საზღვაო ძალა, რომ დახვედროდნენ ესპანიის ფლოტს. „ჩვენ არა გვყავს მეზღვაურები და თუ გვყავს, ისიც ცოტაა", ეუბნებოდა თავზარდაცემული ელისაბედი თავის სამხედრო მინისტრს ლეისტერს, როცა მას მოახსენეს, რომ ისპანიის უძლეველი არმადა თავის ძლიერებით მოცურავდა ინგლისისაკენ 135 ხომალდის სახით. დიაღ, ელისაბედმა და მისმა მინისტრებმა მხოლოდ მაშინ იგრძნეს მთელი ძალა და მნიშვნელობა სამხრ ხომალდებისა, საზღვაო ძლიერებისა, როდესაც დაუდგა ინგლისს კრიტიკული წამი. ამ გაჭირვების დროს მხოლოდ გამოცდილმა მეზღვაურებმა ჰოვარდმა და დრეკმა გადაარჩინეს ინგლისი დაღუპვისაგან. 14 ივნისს 1588 წ. ჰოვარდი სწერს: „სენფრენსისის, დრეკის, გოუნსინის, ფრობიშერის და სხვა გამოცდილი მეზღვაურების შეხედულებით და ჩემის აზრით საუმჯობესო იქნება, რომ ჩვენ, თუმცა მცირენი ვართ რიცხვითა, არ დავუცადოთ ესპანიის ფლოტის შემოსვლას ჩვენს საზღვრებში, არამედ მივეგებოთ მათ მათსავე წყლებში და შევებრძოლოთ მათსავე ნავთსადგურებში..." ელისაბედი და მისი მინისტრები კი ჰფიქრობდნენ, რომ ასეთი ნაბიჯი იქნებოდა ინგლისისათვის საბედისწერო და დამღუპველი. მაგრამ ხსენებულ მეზღვაურების საზღვაო საქმეების ცოდნამ, გამოცდილებამ, გაბედულობამ და გონივრულ მოქმედებამ გადაარჩინეს ინგლისი დაღუპვისაგან. ამის შემდეგ ინგლისის მთავრობამ შეიგნო მთელი ძალა და მნიშვნელობა ზღვაოსნობისა, როგორც სავაჭრო-ფინანსიური მხრით, აგრეთვე სამხედრო-სამხედრო მხრითაც და ყოველ გვარი ზომები, მიიღო რომ აეყვანა თავის სახელმწიფო დიდ სიმაღლეზე, რომელსაც შედეგად მოყვა ის, რომ ინგლისი დღეს პირველი ზღვათა მფლობელი სახელმწიფოა მთელს განათლებულს ევროპაში და თითქმის მთელს დედამიწის ზურგზე.

აქედან ცხადია, რომ სახელმწიფოს ზრუნვის ერთი უმთავრესი საგანი უნდა იყოს ზღვაოსნობის საქმის დიდ სიმაღლეზე დაყენება და შეძენა სავაჭრო და სამხედრო გემებისა, რომელიც ითხოვს არა ერთსა და ორის მილიარდს, მაგრამ იმით უნდა ვინუგეშოთ თავი, რომ არ არის ისეთი სიძნელე, რომელსაც არ ჰქონდეს გამოსავალი, არ არის ისეთი შესაძლო საქმე, რომლის გაკეთება იყოს მოუხერხებელი....

**მეზღვაური.**

---

თავდი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ჰოსპიტალის-ექიმი

## ი. გ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოხ (ხაპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭირით ცხვრის ხახულე—მილის ავათმყოფობას ვკურნავ „ნეიმანის და ვესსელის" მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას „ზოოტეხნიაზე" (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—4 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2.
თვ. 43

## სამკურნალო

ელექტრონის რენტგენის და სინათლის

## მიხეილ გედევანიშვილისა

დილით 12—2 საათ. საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე.
3102. თვ.

## მატარებელთა მიმოსვლა.

ღვინობისთვის 10 დან 1920 წ.

**თბილისიდან გადის.**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბათომისაკენ | 10 ს. 58 წ. დღ. |
| | ბათომში ჩადის | 7 ს. 27 წ. დღ. |
| № 9 | ფოთისაკენ | 5 ს. 34 წ. დღ. |
| | ფოთში ჩადის | 10 ს. 45 წ. დღ. |
| № 7 | ბათომისკენ | 10 ს. 28 წ. საღ. |
| | ბათომში ჩადის | 5 ს. 52 წ. საღ. |
| № 19 | ბორჯომისკენ | 3 ს. 19 წ. დღ. |
| | ბორჯომში ჩადის | 11 ს. 25 წ. დღ. |
| | სალოღლისკენ | 7 ს. 20 წ. დღ. |
| № 4 | სანაინისკენ | 8 ს. დღ. |
| | სანაინში ჩადის | 5. ს. საღ. |
| | კახეთისკენ | 8 ს. 30 წ. დღ. |

**თბილისისკენ მოდიან**

| | | |
|---|---|---|
| № 10 | ფოთიდან | 3 ს. 51 წ. |
| | ტფილისში მოდის | 9 ს. 16 წ. დღ. |
| № 4 | ბათომიდან | 4 ს. 9 წ. დღ. |
| | ტფილისში მოდის | 1 ს. 1 წ. დღ. |
| № 8 | ბათომიდან | 11 ს. 37 წ. ღამ. |
| | ტფილისში მოდის | 7 ს. 36 წ. ღამ. |
| № 20 | ბორჯომიდან | 12 ს. 22 წ. ღამ. |
| | ტფილისში მოდის | 7 ს. 47 წ. დღ. |
| | სალოღლიდან | 12 ს. 10 წ. დღ. |
| № 4 | სანაინიდან | 7 ს. 30 წ. დღ. |
| | ტფილისში მოდ. | 3 ს. 20 წ. დღ. |
| | კახეთიდან თბილისში მოდ. | 8 ს. 20 წ. ს. |

ქირავდება
დიდი ეზო სარაიებით
გიმნაზიის სანაპირო ქუჩა № 21.
1—3173—1

სტამბა „საქართველო" დამფუძნებელი კრების ქ. № 5.